პრესრელიზი

2020 წლის 15 თებერვალი

ტრანსსასაზღვრო ალიანსი შავი ზღვის აუზის ქვეყნებში კლიმატგონივრული და მწვანე სოფლის მეურნეობისათვის (AGREEN)

2021 წლის 26 თებერვალს ტრანსსასაზღვრო ალიანსი შავი ზღვის აუზის ქვეყნებში კლიმატგონივრული და მწვანე სოფლის მეურნეობისათვის (AGREEN) პროექტის ფარგლებში გაიმართება ონლაინ შეხვედრა, რომლის მიზანია პროექტისა და კლიმატგონივრულ სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობისა და გამოწვევების შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირება. შეხვედრა ორგანიზებულია ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ მიერ. შეხვედრა ჩატარდება პლატფორმა Zoom-ით. დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ გაიაროთ წინასწარი რეგისტრაცია და მოგვწეროთ მონაწილეობის შესახებ ელექტრონულ ფოსტაზე projects@elkana.org.ge 2021 წლის 23 თებერვლის ჩათვლით.

პროექტი AGREEN მიზნად ისახავს თანამშრომლობისა და ტრანსნაციონალურ დონეზე ცოდნის გადაცემა/გავრცელების შესაძლებლობების შექმნას კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის მხარდასაჭერად.

პროექტი ხორციელდება დობრუჯას აგრარულ და ბიზნეს-სკოლასთან (ბულგარეთი), კონსტანტას ოვიდიუსის უნივერსიტეტთან (რუმინეთი), ტეკირდაგის ნამიკ ქემალის უნივერსიტეტთან (თურქეთი), ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანასთან“ (საქართველო), აგრობიზნესის კვლევისა და განათლების საერთაშორისო ცენტრთან (სომხეთი) და აღმოსავლეთ თესალონიკის ადგილობრივი ხელისუფლების განვითარების სააგენტოსთან (საბერძნეთი) თანამშრომლობით.

more follows

პროექტი დაფინანსებულია ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ერთობლივი ოპერაციული პროგრამით, ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის „შავი ზღვის აუზი 2014-2020“-ის ფარგლებში - პრიორიტეტი 1.2 „ტრანსსასაზღვრო შესაძლებლობების გაზრდა ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობის და მასთან დაკავშირებული სექტორების მოდერნიზაციისთვის“. პროექტი გრძელდება 30 თვე - 01.06.2020-დან 30.11.2022-მდე /. პროექტის მთლიანი ბიუჯეტია: 799,279.60 ევრო / 3,014,930 ლარი.

End.

Joint Operational Programme Black Sea Basin 2014-2020 is co-financed by the European Union through the European Neighbourhood Instrument and by the participating countries: Armenia, Bulgaria, Georgia, Greece, Republic of Moldova, Romania, Turkey and Ukraine.

This publication was produced with the financial assistance of the European Union. Its contents are the sole responsibility of Biological Farming Association Elkana and do not necessarily reflect the views of the European Union.